საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 659/ი

30 07 2019წ.

ქ. თბილისი

**„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 29 მარტის №227/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის კოორდინატორის 2019 წლის 23 ივლისის №977989 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 29 მარტის №227/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“:

ა) მე-6 მუხლის:
ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. ექსპერტთა კორპუსის წევრის ინტერესთა კონფლიქტი არის ექსპერტის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრულ მიზნებთან.“;

ა.ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹, 1² და 1³ პუნქტები:

„1¹. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ექსპერტი:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) მონაწილეობდა აღნიშნული დაწესებულების პროგრამის შეფასება/შემუშავებაში;

ე) ბოლო ორი წლის განმავლობაში შრომითი ურთიერთობა ჰქონდა იმ დაწესებულებასთან, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;

ვ) შრომითი ურთიერთობა აქვს საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ზ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ დაწესებულებაში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;

თ) არსებობს პირადი ინტერესი ან/და სხვა გარემოება, რომელიც ექსპერტის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე ახდენს (მოახდენს) ზეგავლენას.

1². ინტერესთა კონფლიქტად განიხილება, ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.

1³. ექსპერტმა უნდა აცნობოს ცენტრს არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ.“;

ბ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ეკისრება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეობა. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, ექსპერტთა რაოდენობა (მინიმუმ 2 წევრისაგან შემდგარი) და აკრედიტაციის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“;

გ) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ცენტრის თანამშრომლის ფუნქციები აღინიშნება ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და აკრედიტაციის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, რომელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს:

ა) ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის უზრუნველყოფა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასების ყველა ეტაპზე;

ბ) ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა საკითხის შესწავლის უზრუნველყოფა, რისთვისაც საჭიროების შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს აწოდებს ინფორმაციას გამოჩენილი ან/და დასაზუსტებელი საკითხების შესახებ;

გ) პროგრამის შეფასების პროცესში პროცედურული დარღვევის შესახებ ცენტრისათვის შეტყობინების უზრუნველყოფა;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური დახმარების გაწევა ექსპერტთა ჯგუფისათვის.“;

დ) მე-12 მუხლის:

დ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ექსპერტთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი ახორციელებს მათი საქმიანობის შეფასებას ამ წესის შესაბამისად, შეფასების კითხვარების მიხედვით. შეფასების კითხვარები წარმოადგენს ამ წესის დანართებს.“.

დ.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეფასების კითხვარს, დაწესებულებისათვის საბოლოო სახით ჩამოყალიბებული დასკვნის ჩაბარებამდე ავსებს დაწესებულება, ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ ავსებს ცენტრის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის ეფექტიან წარმართვაზე, ექსპერტთა ჯგუფის წევრი/თავმჯდომარე, ხოლო აკრედიტაციის საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ - შესაბამისი საკითხის განმხილველი მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები.

ე) მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შესახებ ცენტრში წარმოდგენილი განცხადება უნდა შეიცადეს შესაბამის დასაბუთებას.";

ვ) მე-15 მუხლის:

ვ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ექსპერტის მიმართ ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „გ" ან/და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის არანაკლებ 3 კაციან ეთიკის კომისიას (შემდგომი - კომისია). კომისია ცენტრის დირექტორს სრული შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას.";

ვ.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ექსპერტის მიმართ ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, არსებული დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ცენტრის დირექტორს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას წარუდგენს ცენტრის დირექტორის მიერ განსაზღვრული აკრედიტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.";

ვ.გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ" ან/და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების საფუძველზე, ექსპერტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში პირი არ არის უფლებამოსილი ხელახლა გახდეს ექსპერტთა კორპუსის წევრი.".

2. დამტკიცდეს დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა დანართი №1-ის შესაბამისად;

3. დამტკიცდეს ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად;

4. დამტკიცდეს მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა დანართი №3-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა დანართი №4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის მიერ ჯგუფის თავმჯდომარის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა დანართი №5-ის შესაბამისად.

7. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკიძე

*დანართი № 1*

# დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასება

*გამოკითხვის შედეგები კონფიდენციალურია და მხოლოდ ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით იქნება გამოყენებული*

კითხვარის შევსების თარიღი____________

დაწესებულების სახელწოდება (სრული)____________________

პროგრამ(ებ)ის სახელწოდება ____________________

ვიზიტის ბრძანების ნომერი ________________

ვიზიტის თარიღი____________________

1. გთხოვთ, შეაფასოთ ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა

| | შეფასების კრიტერიუმები | დიახ (3 ქულა) | მეტწილად (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) | კომენტარი[1] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი სრულად დაესწრო ვიზიტს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 2 | ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტამდე შესწავლილი ჰქონდა მასალები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 3 | ექსპერტები მოქმედებდნენ გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 4 | ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია უკავშირდებოდა ვიზიტით გათვალისწინებული საკითხების შესწავლას*<br>**იმ შემთხვევაში თუ ექსპერტთა ჯგუფს არ მოუთხოვია დოკუმენტაცია მიუთითეთ კომენტარის სახით* | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 5 | ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა კეთილსინდისიერად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 6 | ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა კოლეგიალურად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

2. საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას 5 ბალიან[2] სკალაზე?

| 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
|---|---|---|---|---|
| ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

3. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

______________________________________________

______________________________________________

[1] შეგიძლიათ ასახოთ დამატებითი ინფორმაცია

[2] შეფასების სკალაზე 5 ქულა აღნიშნავს „ძალიან კარგ“ შეფასებას, 1 ქულა  კი „ძალიან ცუდ“ შეფასებას

*დანართი № 1*

4. გთხოვთ, შეაფასოთ ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრის საქმიანობა[3]

☐ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი და გვარი) ____________________

☐ ექსპერტთა ჯგუფის წევრი (სახელი და გვარი) ____________________

| შეფასების კრიტერიუმები | | დიახ (3 ქულა) | მეტწილად (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) | კომენტარი[4] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექსპერტს მომზადებული ჰქონდა ვიზიტის პერიოდში დასაზუსტებელი კითხვები და მოსაზრებები | ☐ | ☐ | ☐ | | ☐ |
| 2 | ექსპერტი აქტიურად მონაწილეობდა ინტერვიუირების პროცესში | ☐ | ☐ | ☐ | | ☐ |
| 3 | ინტერვიუირებისას ექსპერტის მიერ დასმული შეკითხვები იყო ნათლად და გასაგებად ფორმულირებული | ☐ | ☐ | ☐ | | ☐ |
| 4 | ექსპერტი არ ცდილობდა საკუთარი შეხედულებების უპირატესად და დაუსაბუთებლად წარმოჩენას | ☐ | ☐ | ☐ | | ☐ |
| 5 | ექსპერტი ინარჩუნებდა სიმშვიდესა და ნეიტრალურობას | ☐ | ☐ | ☐ | | ☐ |

5. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

________________________________________

________________________________________

*მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო*

[3] მონიშნეთ შესაბამისი გრაფა

[4] შეგიძლიათ ასახოთ დამატებითი ინფორმაცია

*დანართი № 2*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასება

*გამოკითხვის შედეგები კონფიდენციალურია და მხოლოდ ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით იქნება გამოყენებული*

კითხვარის შევსების თარიღი____________

დაწესებულების სახელწოდება (სრული)______________________

პროგრამი(ებ)ის სახელწოდება ______________________

ვიზიტის ბრძანების ნომერი ___________________

ვიზიტის თარიღი______________________

1. გთხოვთ, შეაფასოთ ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრის საქმიანობა

ექსპერტთა ჯგუფის წევრი (სახელი და გვარი) ______________________________

| შეფასების კრიტერიუმები | | დიახ (3 ქულა) | მეტწილად (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) | კომენტარი[1] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექსპერტმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 2 | ექსპერტს მომზადებული ჰქონდა ვიზიტის პერიოდში დასაზუსტებელი კითხვები და მოსაზრებები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 3 | ინტერვიუირების ჩატარებისას ექსპერტის მიერ დასმული შეკითხვები იყო ნათლად და გასაგებად ფორმულირებული | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 4 | ექსპერტი აქტიურად მონაწილეობდა ინტერვიუირების პროცესში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 5 | დასკვნის შესადგენად ექსპერტმა გამოიკვლია ყველა საკითხი და მოიპოვა შესაბამისი ინფორმაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 6 | ექსპერტი არ ცდილობდა საკუთარი შეხედულებების უპირატესად და დაუსაბუთებლად წარმოჩენას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 7 | ექსპერტი ინარჩუნებდა სიმშვიდესა და ნეიტრალურობას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 8 | ექსპერტი მოქმედებდა კეთილსინდისიერად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 9 | ექსპერტი მოქმედებდა კოლეგიალურად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

[1] შეგიძლიათ ასახოთ დამატებითი ინფორმაცია

*დანართი № 2*

2. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

_______________________________________________

_______________________________________________

3. გთხოვთ, შეაფასოთ თავმჯდომარის საქმიანობა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი და გვარი) ____________________

| | შეფასების კრიტერიუმები | დიახ (3 ქულა) | მეტწილად (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) | კომენტარი[2] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | თავმჯდომარემ, ვიზიტამდე, ჯგუფის წევრებს შორის ეფექტურად გადაანაწილა შესასრულებელი სამუშაო | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 2. | თავმჯდომარემ, ვიზიტამდე წარმოადგინა დღის წესრიგი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 3. | თავმჯდომარემ ეფექტურად წარმართა ვიზიტის წინა შეხვედრა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 4. | თავმჯდომარე აკონტროლებდა შეფასების პროცესის ვადებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 5. | თავმჯდომარემ დაიცვა დღის წესრიგი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 6. | ვიზიტისას, თავმჯდომარემ უზრუნველყო დაწესებულების/პროგრამის შესაფასებლად ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 7. | თავმჯდომარე ეფექტურად მართავდა ჯგუფის მუშაობას ვიზიტზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 8. | თავმჯდომარე ვიზიტზე ეფექტურად მართავდა კონფლიქტურ/დაძაბულ ვითარებას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 9. | დასკვნის პროექტი მოიცავს შეფასების პროცესში გამოვლენილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 10. | დასკვნის პროექტი ენობრივად გამართულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 11. | დასკვნის პროექტი არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 12. | დასკვნის პროექტი მოიცავს ყველა სტანდარტის კომპონენტის სრულფასოვან შეფასებას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 13. | დასკვნის პროექტი ჩაბარებულია დადგენილ ვადებში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 14. | დასკვნა ჩაბარებულია დადგენილ ვადებში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 15. | დასკვნაში ასახულია ვიზიტის მიმდინარეობისას გამოკვეთილი ყველა საკითხი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 16. | სხდომის დროს არგუმენტირებულად და დასაბუთებულად იცავდა დასკვნაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

[2] შეგიძლიათ ასახოთ დამატებითი ინფორმაცია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაფიქსირებულ პოზიციებს (იმ შემთხვევაში თუ არ ესწრებოდა სხდომას, მიუთითეთ კომენტარის სახით) | | | | | |

4. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

____________________________________________________________

____________________________________________________________

5. გთხოვთ, შეაფასოთ ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა

| შეფასების კრიტერიუმები | | დიახ (3 ქულა) | მეტწილად (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) | კომენტარი[3] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი სრულად დაესწრო ვიზიტს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 2 | ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტამდე შესწავლილი ჰქონდა მასალები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 3 | ექსპერტები მოქმედებდნენ გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 4 | ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაბამისი კითხვები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 5 | ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია უკავშირდებოდა ვიზიტით გათვალისწინებული საკითხების შესწავლას* **იმ შემთხვევაში თუ ექსპერტთა ჯგუფს არ მოუთხოვია დოკუმენტაცია მიუთითეთ კომენტარის სახით* | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 6 | ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა კეთილსინდისიერად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 7 | ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა კოლეგიალურად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

6. საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას 5 ბალიან[4] სკალაზე?

| 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
|---|---|---|---|---|
| ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

7. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

____________________________________________________________

____________________________________________________________

*მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო*

[3] შეგიძლიათ ასახოთ დამატებითი ინფორმაცია

[4] შეფასების სკალაზე 5 ქულა აღნიშნავს „ძალიან კარგ" შეფასებას, 1 ქულა კი „ძალიან ცუდ" შეფასებას

*დანართი № 3*

## მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასება

*გამოკითხვის შედეგები კონფიდენციალურია და მხოლოდ ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით იქნება გამოყენებული*

კითხვარის შევსების თარიღი____________

დაწესებულების სახელწოდება (სრული)______________________

პროგრამ(ებ)ის სახელწოდება ______________________

საბჭოს სხდომის თარიღი______________________

1. გთხოვთ, შეაფასოთ ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრის საქმიანობა

ექსპერტთა ჯგუფის წევრი (სახელი და გვარი)______________________

| | შეფასების კრიტერიუმები | დიახ (3 ქულა) | მეტწილად (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) | კომენტარი[1] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნა მოიცავს პროგრამის სრულფასოვან შეფასებას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 2 | ექსპერტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული დასკვნა მკაფიო, ნათელი და ლოგიკურია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 3 | ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ენობრივად გამართულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 4 | ექსპერტმა ზეპირი მოსმენისას დაასაბუთა საკუთარი პოზიცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 5 | ექსპერტის პოზიცია ობიექტური და ნეიტრალურია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

2. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

*მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო*

[1] შეგიძლიათ ასახოთ დამატებითი ინფორმაცია

*დანართი № 4*

## პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასება

*გამოკითხვის შედეგები კონფიდენციალურია და მხოლოდ ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით იქნება გამოყენებული*

კითხვარის შევსების თარიღი___________

დაწესებულების სახელწოდება (სრული)____________________

პროგრამ(ებ)ის სახელწოდება ____________________

ვიზიტის ბრძანების ნომერი ________________

ვიზიტის თარიღი_________________

1. გთხოვთ, შეაფასოთ ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრის საქმიანობა
   ექსპერტთა ჯგუფის წევრი (სახელი და გვარი) _______________

| შეფასების კრიტერიუმები | | დიახ (3 ქულა) | მეტწილად (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) | კომენტარი[1] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექსპერტმა, ვიზიტის განხორციელებამდე, შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 2 | ექსპერტს მომზადებული ჰქონდა ვიზიტის პერიოდში დასაზუსტებელი კითხვები და მოსაზრებები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 3 | ინტერვიუირების ჩატარებისას ექსპერტის მიერ დასმული შეკითხვები იყო ნათლად და გასაგებად ფორმულირებული | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 4 | ექსპერტი აქტიურად მონაწილეობდა ინტერვიუირების პროცესში | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | |
| 5 | ექსპერტმა გამოიკვლია ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად და მოიპოვა შესაბამისი ინფორმაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 6 | ექსპერტი მონაწილეობდა ძირითადი მიგნებების ჩამოყალიბებაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 7 | ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი მკაფიო და ნათელია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 8 | ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი მოიცავს შეფასების პროცესში გამოვლენილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

[1] შეგიძლიათ ასახოთ დამატებითი ინფორმაცია.

*დანართი № 4*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი ენობრივად გამართულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 10 | ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 11 | ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი მოიცავს შესაბამისი სტანდარტის კომპონენტის სრულფასოვან შეფასებას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 12 | ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილში დაფიქსირებული რეკომენდაციები ასახავს აღწერისა და ანალიზის ნაწილში გამოვლენილ ყველა პრობლემურ საკითხს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 13 | ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი ჩაბარებულია დადგენილ ვადებში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

2. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

______________________________________________

______________________________________________

*მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო*

*დანართი № 5*

## პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის მიერ ჯგუფის თავმჯდომარის საქმიანობის შეფასება

*გამოკითხვის შედეგები კონფიდენციალურია და მხოლოდ ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით იქნება გამოყენებული*

კითხვარის შევსების თარიღი___________

დაწესებულების სახელწოდება (სრული)____________________

პროგრამ(ებ)ის სახელწოდება ____________________

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი და გვარი) ____________________

ვიზიტის ბრძანების ნომერი ________________

ვიზიტის თარიღი____________________

1. გთხოვთ, შეაფასოთ თავმჯდომარის საქმიანობა

| | შეფასების კრიტერიუმები | დიახ (3 ქულა) | მეტწილად (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) | კომენტარი[1] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | თავმჯდომარემ ჯგუფის წევრებს შორის ვიზიტამდე ეფექტურად გადაანაწილა შესასრულებელი სამუშაო | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 2. | თავმჯდომარემ ვიზიტამდე წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 3. | თავმჯდომარემ ეფექტურად წარმართა ვიზიტის წინა შეხვედრა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 4. | თავმჯდომარე აკონტროლებდა შეფასების პროცესის ვადებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 5. | თავმჯდომარემ დაიცვა დღის წესრიგი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 6. | ვიზიტისას თავმჯდომარემ უზრუნველყო დაწესებულების/პროგრამის შესაფასებლად ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | |
| 7. | თავმჯდომარე ეფექტურად მართავდა ჯგუფის მუშაობას ვიზიტზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 8. | თავმჯდომარე ეფექტურად მართავდა კონფლიქტურ/დაძაბულ ვითარებას ვიზიტზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 9. | დასკვნის პროექტი მოიცავს შეფასების პროცესში გამოვლენილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 10. | დასკვნის პროექტი არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

2. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

*მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო*

[1] შეგიძლიათ ასახოთ დამატებითი ინფორმაცია